

ქეთევან ლომთათიძე

მინათმორქველების ღარბის ერთი საერთო გმნური უწყე  
ქართულსა და აზხაგურში და მისი ეტიმოლოგიის ცდა

არაერთგზის აღნიშნულა აფხაზური ყოფითი და სამეურნეო ლექსიკის ქართულის და საერთოდ ქართველური ენების) სათანადო ლექსიკასთან კავშირი. ამ მხრივ უკართოდ მივბრუნდებით აქვთ ჩატარებული პ.კარაიას, ნ.მარს...

თავის დროზე შესაძლებლად მივიჩნიეთ ქართ. ახო-სა („საყანედ გაკაფული ტუ“) და აფხ. ამხგ („ყანა“) სიტყვათა ფუძეების ერთიანობა. აფხაზური ამხგ სწორედ უეჭველად არის დაკავშირებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიშის მახას სახელწოდებასთან.

მ.ჯანაშიას საგანგებო ნაშრომში (თუმცა იგი არ გამოქვეყნებულა!) ვრცლად იყო გამოვლენილი ქართულ-ქართველურ ენათა ფუძეებთან მიმართება აფხაზურის გვეგნახეობა-მელვინეობის ლექსიკისა.

ბოლო ხანებში ზემოთ ხსენებული მიმართულებით კვლევა-ძიება სისტემატური მასივით ხდება.

ამჯერად ყურადღების საგნად გვესახება ყანის მარგვლის პროცესის გამომხატველი ფუძე დასახელებულ ენებში.

აღნიშნული საქმიანობის განმსაზღვრელი ტერმინისათვის სხვადასხვა მოტივი შეიძლება იყოს გამოყენებული: კერძოდ, „მარგვლა“ მსგავსად „თოხვა“ „თოხნისა“, სათანადო იარაღის გამოყენების საფუძველზე უნდა იყოს წარმოქმნილი, თუმცა აღნიშნული პროცესი სხვა ასპექტითაც შეიძლება გაიაზრებოდეს. ერთ-ერთი ასეთი სახეობა უნდა იყოს „მარგვლის“ ქართულში არსებული ფუძე აოშვა (აოშავს) „ხელმეორედ არაღრმად მოხნავს (ნახნავს), გააფხვიერებს“ (ქეგლ).

მასთან საერთოდ გვესახება აფხაზურში ამ პროცესისთვის არსებული ზმნა ა'შიარა (გარდაუვალი): დ-აშოაღტ („მარგლავს“) და ა-რ-ა-შიარა (გარდამავალი): ი-რ-აშოაღტ („მარგლავს მას“).

აღნიშნული ზმნური ფუძე ქართული წარმომავლობისა უნდა იყოს და უნდა უკავშირდებოდეს ოშივარ სიტყვას (რომლის პარალელური სახეობებია ქართულშივე დაცული ოხშივარი||ოშხივარი).

მათს ასეთს კავშირს უნდა სარწმუნოს ხდიდეს განსაზღვრებანი თვით ამ ფუძეებისა: „გამარგვლას“, „აოშვას“, „ოშივარს“ („ოხშივარს“) ლექსიკონები ასე გვიხსნიან: „ოხშივარი“ („ოშხივარი“, „ოშივარი“) „ორთქლი, რომელიც ასდის ცხელ, გახურებულ რასმე“. საილუსტრაციოდ ამისა მოყვანილია: „ახალი ხნულიდან ოშივარი ამოდიოდა“, „აოშავს“ „ხელმეორედ არაღრმად მოხნავს (ნახნავს), გააფხვიერებს“ (ხაზგასმა ჩვენია! ქ.ლ.).

ამოსავალ სახელურ (ოშივარ) ფუძესთან შედარებით ქართულშიაც და აფხაზურშიაც ფუძის ბოლო ნაწილი გამარტივებულია - მომხდარა ი ხმოვნის რედუქცია, რის შედეგადაც აფხაზურში წარმოქმნილა შვ კომპლექსიდან ლაბიალიზებული შო თანხმოვანი.

აფხაზურშივე პირვანდელი თავკიდურა ა-ო ხმოვნითი ელემენტების კომპლექსი გამარტივებულია და ა ხმოვნის სახით წამძღვარებია ძირეულ შო თანხმოვანს მოუცილებელ კომპონენტად.

ასე რომ, ქართ. აოშვა და აფხ. აშია-რა გამოხატავს „არაღრმად მოხვნას, ნახნავის გაფხვიერებას, ე.ი. „ო“ს“შივარის“ გაშვებას, განიაუებას“.

## KETEVAN LOMTATIDZE

### ON THE COMMON VERBAL ROOT OF FARMING IN GEORGIAN AND ABKHAZIAN LANGUAGES AND THE QUESTION OF ITS ETYMOLOGY

The link between the lexical units of husbandry of Abkhazian and Georgian (as well as with the other Kartvelian languages, in general) has oftentimes been noted. P.Charaia, N.Marr and others have carried out vast research.

Sh. Janashia's special work (unpublished) dedicated to this question gives the relations of Georgian and other Kartvelian stems of viniculture to the corresponding lexical units in Abkhazian. In recent years the research of the kind acquires regular character. Here we present stems expressing the process of field weeding in the abovesaid languages. "Weeding" as activity can be conveyed by words having different motivations. Namely, *margvla* (weeding), like *toxva -toxnisa* (hoeing) should have been derived on the basis of the tool used in the performing of the particular work. However, the process could be considered from the different aspect. One of the aspects can express the Georgian stem *aošva* originally having the meaning of "weeding", "to till the second times, crash the soil, cultivate" (Dictionary of the Georgian Language).

I find the similarity between *a'ošiva* and Abkhazian word *a siara* (intransitive): *d - aširit* (he weeds) and *a-r-a-siara* (transitive); *i-r-a šomjt* (he weeds it).

The verbal stem seems to have related with "ošivar"(having the parallel variants of *oxšivari//ošivari*).